ხელშეკრულება
სახლმწიფო შესყიდვის შესახებ №16-286

ქ. თბილისი

„16"„აგვისტო" 2013 წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთი მხრივ, შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა, შემდგომში „შემსყიდველი", გენერალური დირექტორის ავთანდილ იმედაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ინსტა", შემდგომში „მიმწოდებელი", მისი დირექტორის გიორგი ბახსოლიანი სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობით საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, კლინიკის საჭიროებისათვის საკონტროლო და გამოსაცდელი აპარატურის შესყიდვაზე (CPV 38500000) და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნულ კლინიკას მოთხოვნილი საქონელი 34.90 (ოცდათოთხმეტი ლარი ოთხმოცდაათი თეთრი)ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი").

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

№	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ფასი
1	Z-C10/SE-25A/GG(დნობადი მცველი 25ა)	ცალი	8	2.75	22.00
2	Z-C10/SE-6A/GG(დნობის მცველი 6ა)	ცალი	6	2.15	12.90
	სულ				34.90

4. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები:

4.1. საქონლის მიწოდება ხორციელდება ერთჯერადად 2013 წლის 21 აგვისტოს.

4.2. ხელშეკრულების დამდე არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

4.3. საქონლის მიწოდების ადგილია შემსყიდველის მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი №29;

4.4. შემსყიდველთან შეთანხმებით მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მისამართზე მიწოდება და ამ შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტის შესაბამისად საკუთრების უფლება გადადის შემსყიდველზე.

5. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორება;

5.2. მიწოდებული საქონლის ანაზღაურება იწარმოება, დადგენილი წესით წარმოდგენილი ანგარიშებისა და მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების და/ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;

5.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე, 5.2 პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტაციის გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება დასტურდება 4.3 პუნქტში მითითებულ მისამართზე საქონლის მიწოდების შემდგომ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების (და/ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშფაქტურის) გაფორმებით. მათ ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე – საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე,

გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე, ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

6.2. „მიმწოდებელი" საქონლის მიწოდებისას წარუდგენს „შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს, სასაქონლო ზედნადებს და/ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს შესყიდული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

7.1.3. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" ადეკვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხისა და მოცულობის კონტროლი მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების გაფორმებამდე;

8.2.2. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ფინანსური და ორგანიზაციული მონიტორინგი როგორც გეგმური, ასევე მიმდინარე;

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები. აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოაბათა დასრულების შემდეგ.

9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მე ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კონპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

9.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ერთი თვით ადრე.ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

13.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 21 სექტემბრამდე.

14. განსაკუთრებული პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

14.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ხოლო ორი – „შემსყიდველთან".

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა"
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №29
ს/კ №205165453
ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა"-ს
ცენტრალური ფილიალი
ბ/კ №REPLGE22
ა/ა №GE05BR0000003408078257

გენერალური დირექტორი
ავთანდილ იმედაძე

„მიმწოდებელი"

შპს „ინსტა"

გსნ: №202057264
ს.ს. „საქართველოს ბანკი"

ბ/კ №BAGAGE22
ა/ა №GE05BT0000000280979000

დირექტორი
გიორგი ბახსოლიანი

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი

„16“„აგვისტო“2013წ.

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს “აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა” გენ. დირექტორი ავთანდილ იმედაძე, შემდგომში „შემსყიდველი” წოდებული და მეორეს მხრივ შპს „ინსტა“ დირექტორის გიორგი ბახსოლიანი ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მოწოდებულია საქონელი 2013 წლის 16 აგვისტოს №161-286 ხელშეკრულების მიხედვით.

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 34.90 (ოცდათოთხმეტი ლარი ოთხმოცდაათი თეთრი)ლარს.
მიწოდებული საქონლის ღირებულებამ შეადგინა 34.90 (ოცდათოთხმეტი ლარი ოთხმოცდაათი თეთრი)ლარი.

„შემსყიდველი“

შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური
საუნივერსიტეტო კლინიკა“
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №29
ს/კ №205165453
ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“-ს
ცენტრალური ფილიალი
ბ/კ №REPLGE22
ა/ა №GE05BR0000003408078257

გენერალური დირექტორი
ავთანდილ იმედაძე

„მიმწოდებელი“

შპს „ინსტა“

გსნ: №202057264
ს.ს. „საქართველოს ბანკი“

ბ/კ №BAGAGE22
ა/ა №GE05BT0000000280979000

დირექტორი
გიორგი ბახსოლიანი